აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

2017 წლის საშემოდგომო სესიიდან 2018 წლის საშემოდგომო სესიამდე

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის კომიტეტი ახორციელებდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: უზრუნველყოფდა საკანონმდებლო საკითხების მომზადების ხელშეწყობას, კონტროლს უწევდა უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას, შეიმუშავებდა სავალდებულო დასკვნებს, კანონპროექტებსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ საკითხებზე.

ანგარიშში ასახულია **2017** წლის საშემოდგომო სესიიდან **2018** წლის საშემოდგომო სესიამდე კომიტეტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია, უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა. წარმოდგენილია კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი
კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე დავით თედორაძე

კომიტეტის წევრები: მერაბ კარანაძე
ცოტნე ანანიძე
ასმათ დიასამიძე
გიორგი ცინცქილაძე

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი განისაზღვრა წამყვან კომიტეტად - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენის;

- კომიტეტმა შეიმუშავა და წარადგინა 14 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე;

- საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა ჩაატარა 11 სხდომა და განიხილა 15 საკითხი;

- საანგარიშო პერიოდში კომიტეტში მიღებული იქნა 125 მოქალაქე;
- კომიტეტში შემოვიდა და დამუშავდა 145 კორესპონდენცია;
- კომიტეტიდან გაიგზავნა 168 კორესპონდენცია.

კანონპროექტები, რომელიც შემუშავდა კომიტეტში

1. კომიტეტში დამუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 მაისის პლენარულ სხდომაზე მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ცვლილებებით გასწორდა მნიშვნელოვანი ხარვეზები როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა ,,განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომლის მიღებით შესაძლებელი გახდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლების სფეროში სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლებისა და პრინციპების დარეგულირება, კანონის პროექტში გაწერილია მეცნიერების, უმაღლესი, ზოგადი, პროფესიული, არაფორმალური, ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშეწყობის პირობებზე და კონტროლის განხორციელების რეგულაციებზე.

2. კომიტეტის თავმჯდომარის - ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ შემუშავებული იქნა კანონპროექტი - ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე'' - საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ. კანონპროექტის შემუშავების მიზანია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებისათვის უფლების დელეგირება, რომლის თანახმადაც, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი სამინისტროები მათდამი დაქვემდებარებულ საჯარო სკოლებს მისცემენ წერილობით გაფრთხილებას ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართავენ შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. ასევე სამინისტროებს მიეცემათ უფლება შეუწყვიტონ უფლებამოსილება დირექტორს/ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო ერთი წლის განმავლობაში ორ წერილობით გაფრთხილებას მიიღებს.

კანონის პროექტი უახლოეს პერიოდში განსახილველად წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

3. კომიტეტში დამუშავდა და უახლოეს პერიოდში წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს კანონის პროექტი - საქართველოს კანონი ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მიზანია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაში გამოიყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის აკადემიის ნამდვილი წევრის (მომავალში წევრ-კორესპონდენტის) ორი მიზნობრივი ადგილი, რომლის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო, კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეკომენდირებული კონკურსანტები.

კომიტეტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები და სხვადასხვა საქმიანობა

➢2018 წლის 10-14 ივლისის ვ. მგალობლიშვილი ფონდ ,,SOS TALANTS'' -ს მიერ მიწვეული იყო საფრანგეთის რესპუბლიკაში, ქალაქ პარიზში. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები ფონდი ,,SOS TALANTS''-ს პრეზიდენტთან ბატონ მიშელ სონისთან, აღნიშნული ორგანიზაცია გახლავთ ფესტივალის მთავარი პარტნიორი. შეხვედრის დროს განიხილეს ,,BATUMI MUSIC FESTT''-ის სამომავლო განვითარების საკითხები. ფესტივალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესბუბლიკური ბიუჯეტის მხარდაჭერით ტარდება 2013 წლიდან. ფესტივალმა მოიპოვა შიდა და საერთაშორისო მაღალი აღიარება, პროექტი ხორციელდება ,,UNESCO''-ს მაღალი პატრონაჟით. ფესტივალი ემსახურება საქართველოში ახალგაზრდა თაობების მუსიკალური დონის ამაღლებას. განათლების

ღირებულებასთან ერთად ,,BATUMI MUSIC FEST'' ემსახურება, ბათუმის როგორც კულტურული ტურიზმის სავიზიტო ბარათად განვითარებას.

ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგა შეხვედრები საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან და პროდიუსერებთან.

➢ვლადიმერ მგალობლიშვილი 2018 წლის 10-15 ივნისს იმყოფებოდა ბელარუსიის რესპუბლიკის ქალაქ მინსკში. ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტთან შემდგარიყო თანამშრომლობა, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების თანამშრომლებისთვის განხორციელებულიყო სასწავლო გადამზადების პროგრამები სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების სწავლების შესახებ. შეხვედრა შედგა ბელარუსიის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის მოადგილესთან ბატონ გენადი ლასუტასთან, რომელიც ასევე არის მინსკის სამოქალაქო უსაფრთხოების უნივერსიტეტის კურატორი. სამუშაო ფორმატში განხილული იქნა შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობები და მისი მხრიდან გამოითქვა სრული მზადყოფნა თანამშრომლობისთვის. ასევე შედგა სამუშაო შეხვედრა მინსკის სამოქალაქო უსაფრთხოების უნივერსიტეტის ხელმძღვანელთან ბატონ ივან პოლევოდასთან. განხილული იქნა საკითხი უნივერსიტეტის, კოლეჯებისა და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის თანამშრომლობის შესახებ, როგორც კადრების გადამზადების, ასევე პროფესიული სასწავლო პროგრამების მომზადების კუთხით. კადრების გადამზადება გულისხმობს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში (ისეთი როგორიცაა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი) შესაბამისი თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების სწავლებას, ასევე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მომზადებას. გაიმართა გაფართოებული ფორმატის შეხვედრა აჭარის დელეგაციასა და მინსკის სამოქალაქო უსაფრთხოების უნივერსიტეტის ხელმძღვანელსა და კათედრის გამგეებს შორის, სადაც კონკრეტულად იქნა განხილული სამომავლო თანამშრომლობის დეტალები, რის შედეგადაც გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი მინსკის სამოქალაქო უსაფრთხოების უნივერსიტეტსა და პროფესიულ კოლეჯებს: ,,ბლექსი'', ,,ახალი ტალღა'' და ,,ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს'' შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს ორ ეტაპიან თანამშრომლობას. პირველ ეტაპზე მოხდება პროფესიული კოლეჯებისა და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის შრომის უსაფრთხოებისა და სახანძროს უსაფრთხოების სპეციალისტების გადამზადება, ხოლო მეორე ეტაპზე უნივერსიტეტის ჩართულობით პროფესიულ კოლეჯებში მომზადდება შესაბამისი სასწავლო პროფესიული პროგრამები, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ს.ს.ი.პ ხარისხის მართვის ცენტრის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში შეხვდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბელარუსიის რესპუბლიკაში ბატონ ვალერი კვარაცხელიას, რომელმაც გამოხატა სრული მზადყოფნა მხარი დაუჭიროს ზემოთ აღნიშნული ინიციატივების განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა მინსკის "სამოქალაქო უსაფრთხოების უნივერსიტეტსა" და პროფესიული სასწავლებლების - ,,ბლექსისა'' და „ახალი ტალღას“, ასევე ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს.

კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები სისტემატიურად მართავენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან

01.09. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი დაესწო საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ბათუმში გამართულ გასვლით სხდომას. სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა რეგიონში საგანმანათლებლო, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარების კუთხით გატარებული ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე.

01.09 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა და დავით თედორაძემ საქართველოს პარლამენტის წევრებთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სარფში მშენებარე სკოლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაში.

15.09. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და მონაწილეობა მიიღო ბათუმის საზღვაო აკადემიასა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებში.

28.09. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად თბილისში, სასტუმრო ,,ჰუალინგში“ საქართველოს კორპორატიული სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას “Sportsway Tourism”” დაესწრო.

9.10. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა ქართველ და უკრაინელ მეცნიერთა ჯგუფს უმასპინძლა.

18.10. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტის ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცენტრის საძირკველის ჩაყრის ცერემონიაში.

9.11. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი დაესწრო ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის - „დებიუტი“-ის საზეიმო გახსნას.

14.11. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა მონაწილეობა მიიღო ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გამართულ, 2017 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის 253 წარჩინებული მოსწავლის, დაჯილდოების ცერემონიალში.

15.11. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის მწერალთა სახლის ორგანიზებით გამართულ აჭარის მწერალთა სახლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

16.12. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი დაესწრო ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ „გაეროს ახალგაზრდული ასამბლეის“ გახსნის ღონისძიებას.

18.12. 2017 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დავით გაბაიძესთან და უმაღლესი საბჭოს წევრ - გიორგი რომანაძესთან ერთად უმასპინძლა გაეროს ახალგაზრდული ასამბლეის წევრებს.

3.01. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი დაესწრო ბათუმის საზღვაო ნავსადგურში გამართულ საზეიმო ცერემონიალს, რომელიც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის სასწავლო-საწრთვნელი გემის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას მიეძღვნა.

22-30.01.2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა, როგორც უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო კომისიის წევრმა, მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვის მიზნით მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებში, სადაც საკუთარ პოზიციას წარმოადგენდა.

14.03. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა მონაწილეობა მიიღო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით - „ფესტივალები განვითარებისთვის“.

21.03. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა უმაღლესი საბჭოს წევრებთან ერთად, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოინახულა და საჩუქრები გადასცა ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების ცენტრის ბენეფიციარებს.

23. 03. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა წამოიწყო კომპანია „მეტი არაფორმალური განათლება ახალგაზრდებს“, რომლის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ცენტრში ჩაატარა ტრენინგი პროექტის წერის ტექნიკასთან დაკავშირებით.

27.03. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი ,,მეტი არაფორმალური განათლება ახალგაზრდებს'' კამპანიის ფარგლებში - ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“, შეხვდა აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდული ფორუმის მონაწილეებს (თემა - ,,არაფორმალური განათლება თვითგანვითარებისთვის''; გასაუბრების ტექნიკური უნარ-ჩვევები).

16.05. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ბრანდენბურგის (გერმანია) ფედერალური მხარის რეგიონული პარლამენტის - ლანდტაგის ოფიციალური დელეგაციის მიღების ღონისძიებაში. ამავე ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში.

26.07. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ერთად შეხვდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.

31.07. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი დაესწრო საზოგადოებრივი კოლეჯის - „ახალი ტალღისა“ და აჭარის დასაქმების სააგენტოს პროექტების ფარგლებში გადამზადებული კურსდამთავრებულებისთვის სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ღონისძიებას, ისაუბრა პროფესიული განათლების მაღალ მნიშვნელობაზე.

<u>კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიერ განხორციელებული აქტიობები:</u>

1. მონაწილეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვაში ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან გამართული შეხვედრებისას;
2. მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა ქედის მუნიციპალიტეტში ყადირ შერვაშიძის ძეგლის გახსნისას;
3. მონაწილეობდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის ახალი სკოლის გახსნის ცერემონიალში;
4. ჩართული იყო სახალხო ფესტივალში ,,ფრიდონობა“ და წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა;
5. ჩართული იყო პოეტ ჯემალ ქათამაძის საიუბილეო საღამოს გამართვის ცერემონიალში და წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა;
6. გამართა შეხვედრა ხულოს მუნიციპალიტეტის დაბა ხულოს საჯარო სკოლის პედაგოგებთან და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებთან;
7. მონაწილეობდა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სოფელ მახუნცეთში მემორიალის - ,,სამშობლოს სადარაჯოზე“ გახსნისას;
8. შეხვდა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა წარმატებულ სპორტსმენებთან შეხვედრისას აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში;
9. ესწრებოდა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პოეტ ზურაბ გორგილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე;
10. მონაწილეობდა დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

კომიტეტის თავმჯდომარე აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. არის სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- ,,თავისუფალი პროექტების” შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრი;
- ,,სტუდენტთა დახმარების~ ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- პროექტების - ,,სწავლა საზღვარგარეთ“, ,,სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“, ,,კონფერენციის ორგანიზება“ ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომიტეტის
თავმჯდომარე: /ვლადიმერ მგალობლიშვილი